შეტყობინება მეხუთე

ომი ყამალეკელებთან

ადგილები წერილიდან: 1 მეფ. 15; გამ. 17:8-13; გალ. 5:16-17, 24

I. **მეფეთას პირველი წიგნის მე-15 თავში ჩვენ ვხედავთ მონათხრობს იმის შესახებ, რომ საულმა გამოავლინა დაუმორჩილებლობა, ყამალიკელებზე გამარჯვების შემდეგ:**
   ა. მან გაიმარჯვა მტერზე, მაგრამ ამასთან ერთად სრულიად არ ემორჩილებოდა ღმერთს – მუხ. 7-9.
   ბ. აქ საული იყო მთლიანად მხილებული, ხოლო შემდეგ ის იყო მიტოვებული ღმერთის მიერ ადა ასევე სამუელის მიერ – 14:26.
   გ. ამ თავში ჩვენ ვხედავთ მნიშვნელოვან გაკვეთილს ჩვენთვის დღეს.

II. **წინასახეების სისტემაში ყამალეკელები აღნიშნავენ ხორცს – დაცემულ ადამიანს – გამ. 17:8-16:**
   ა. ყამალეკი, ხორცი, – არის მთავარი მტერი, რომელიც ხელს გვიშლის ჩვენ ვიაროთ წინ უფალთან ერთად – მუხ. 8; რჯლ. 25:17-18:
      1. სახელი „ყამალეკი“ აღნიშნავს „მეომარს“; ეს მიუთითებს იმაზე, რომ ხორცი არის მეომარი, დამანგრეველი და შემწუხებელი.
      2. უდიდესი დამანგრეველი ქრისტიანული ცხოვრებისა არის ხორცი – 1 პეტ. 2:11.
      3. ის. რომ ღმერთი აწარმოებს მუდმივ ომს ყამალეკთან, გვიჩვენებს, რომ ღმერთს სძულს ხორცი და უნდა, რომ აღმოფხვრას ის – გამ. 17:16; გალ. 5:17.
   ბ. ხორცი აღნიშნავს მთელ დაცემულ ძველ ადამიანს ერთობლიობაში, მთელ ჩვენს დაცემულ არსებას – დაბ. 6:3; რომ. 7:18ა; გალ. 2:16:
      1. ხორცი არის გამოვლინება და გამოხატულება ძველი კაცის – რომ. 6:6.
      2. ხორცი არის მტრობა ღმერთის წინააღმდეგ, ხორცი არ ემორჩილება ღმერთის კანონს, და ხორცს არ შეუძლია დაემორჩილოს ღმერთის კანონს – 8:7.
   გ. ხორცი არის ღმერთის მტრის ბანაკი და ყველაზე დიდი პლაცდარმი მისი სამუშაოსათვის – გალ. 5:19-21:
      1. მთელ სამყაროში ერთადერთი მტერი ღმერთისა პრაქტიკული თვალსაზრისით არის არა სატანა, არამედ ხორცი – რომ. 8:7.
      2. ხორცი, დაცემული ადამიანი, მთლიანად ერთია სატანასთან, და მას იყენებს სატანა ღმერთის წინააღმდეგ ბრძოლაში – მათე 16:23; გალ. 5:17.
      3. ხორცი არის პირველი ჩვენს მტრებს შორის: ის გამოდის ცოდვის, ქვეყნიერების და სატანის წინ, რათა გვებრძოლოს ჩვენ – რომ. 8:3.
      4. ღმერთს სძულს ხორცი ისევე, როგორც მას სძულს სატანა, და მას უნდა, რომ გაანადგუროს ხორცი ისევე, როგორც მას უნდა, რომ გაანადგუროს სატანა – გამ. 17:16; რჯლ. 25:17-19; 1 მეფ. 15:2-3.
   დ. ყამალეკის შემთხვევაში არის ხელი უფლის ტახტის წინააღმდეგ – გამ. 17:16; 1 მეფ. 15:22-23:

1. ყამალეკი ცდილობდა, დაემხო ღმერთის ტახტი, როგორც ამის გაკეთებას ოდესღაც ცდილობდა სატანა – გამ. 17:8, 16.
2. სატანის მსგავსად, ხორცი ეწინააღმდეგება ღმერთის ძალაუფლებას – ესაია. 14:12-14:
   ა) ხორცი ჯანყობს ღმერთის წინააღმდეგ და მისი ტახტის წინააღმდეგ.
   ბ) ხორცი ეწინააღმდეგება ყველაფერს, რასაც ღმერთი აკეთებს თავის მმართველობაში.
3. ჩვენი ხორცი არის ღმერთის ძალაუფლების მტერი და ჯანყობს ღმერთის სამთავრობო მმართველობის წინააღმდეგ:
   ა) ხორცი უკიდურესად მახინჯია, რადგან ის ეწინააღმდეგება ღმერთის ტახტს, მის მმართველობასა და გეგმას – გამოცხ. 4:2; 5:6; ეფეს. 3:11.
   ბ) თითოეული ასპექტი ჩვენი ხორცისა, იქნება ეს კარგი თუ ცუდი, არის ღმერთის ძალუფლების მტერი.
   გ) ყველაფერი, რაც გამოდის ხორციდან ეწინააღმდეგება ღმერთის ტახტს; სატანა, მაცდური, ღმერთის მტერი, იყენებს ხორცს, რათა ხელი შუშალოს ღმერთის ჩანაფიქრს – 2 კორ. 2:11.

ე. ხორცი ეწინააღმდეგება მეფობას:
1. სადაც არის ხორცი, იქ ვერ იქნება ღმერთის სამეფო.
2. ამიტომ ხორცს მთლიანად უნდა მოეღოს ბოლო, სანამ ღმერთის სამეფო მოვა.

III. 1 მეფ. 15:2-ში იეჰოვამ განაცხადა, რომ ის დასჯის ყამალეკელებს იმისათვის, რაც მათ გაუკეთეს ისრაელს, როდესაც ისინი იბრძოდნენ ისრაელის წინააღმდეგ:

ა. ყამალეკი იბრძოდა ისრაელის შვილების წინააღმდეგ, როდესაც ისინი იყვნენ ღმერთის მიზნის მიღწევის გზაზე – გამ. 17:8-16; 1 მეფ. 15:2-3:
1. ყამალეკთან ომში, რომელიც აღწერილია გამ. 17:8-16-ში, მოსე დადგა ბორცვის მწვერვალზე ღმერთის კვერთხით ხელში, ხოლო იესო ნავეს ძე გამოვიდა ამორჩეულ ადამიანებთან ერთად, რათა ებრძოლა ყამალეკთან და გაემარჯვა მასზე.
2. იმ დროს, როდესაც იესო ნავეს ძე იბრძოდა, მოსე ლოცულობდა.
3. მას შემდეგ, რაც იესო ნავეს ძემ გაიმარჯვა ყამალეკზე, ღმერთმა განაცხადა, რომ მას ექნება „ომი... ყამალეკის წინააღმდეგ თაობიდან თაობამდე“ (მუხ. 16); აქედან ჩანს, რამდენად სერიოზული დამოკიდებულება ჰქონდა ღმერთს იმ დაბრკოლებასთან, რომელიც შექმენს ყამალიკელებმა.

ბ. გამოსვლის 17:8-13-ში ნაჩვენებია, თუ როგორ უნდა ვიბრძოლოთ ყამალეკის წინააღმდეგ:
1. ჩვენ ვიბრძვით ყამალეკის წინააღმდეგ შუამდგომელი ქრისტეს და მებრძოლი სულის მეშვეობით – რომ. 8:34; ებრ. 7:25; გალ. 5:17:
   ა) მოსეს მიერ ხელის აღმართვა ბორცვის მწვერვალზე, არის წინასახე ამაღლებული ქრისტესი, რომელიც შუამდგომლობს ზეცაში – გამ. 17:9, 11.
   ბ) იესო ნავეს ძე, მებრძოლი ყამალეკის წინააღმდეგ, – არის წინასახე ჩვენში მყოფი სულის, რომელიც იბრძვის ხორცის წინააღმდეგ – მუხ. 9, 13.
   გ) ჩვენ უნდა გვქონდეს კავშირი შუამდგომელ ქრისტესთან, რათა ვითანამშრომლოთ მებრძოლ სულთან – კოლ. 3:1-3, 5; რომ. 8:34, 13; გალ. 5:24, 17.

2. ყამალეკის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ უფალთან, ვილოცოთ და მოვაკვდინოთ ხორცი – ლუკა 18:1; 1 თეს. 5:17; რომ. 8:13; გალ. 5:24:
   ა) როდესაც ჩვენ ვლოცულობთ, ჩვენ ვართ ერთი შუამდგომელ ქრისტესთან – რომ. 8:34.
   ბ) როდესაც ჩვენ ვაკვდინებთ ხორცს, ჩვენ ვართ ერთი მებრძოლ სულთან – გალ. 5:17.
   გ) ერთი მხრივ, ჩვენ უნდა ვილოცოთ ქრისტესთან ერთად; მეორე მხრივ, ჩვენ უნდა მოვაკვდინოთ ხორცი მებრძოლი სულით – მუხ. 24.
   დ) ძველი კაცის ჯვარცმა იყო ღმერთის პასუხისმგებლობა; ხორცის ჯვარცმა არის ჩვენი პასუხისმგებლობა – რომ. 6:6; 8:13; გალ. 5:24.

IV. ღმერთმა უბრძანა საულს „დაემარცხებინა ყამალიკელები“ და „მთლიანად გაენადგურებინა ყველაფერი, რაც მათ აქვთ“, და არ დაენდოთ ისინი, მაგრამ ის არ დაემორჩილა იეჰოვას ბრძანებას – 1 მეფ. 15:3-9:

ა. საულმა მოკლა ყამალიკელები, მაგრამ დაინდო აგაგი, მეფე, და საუკეთესო ცხვრები, ხარები, ნასუქი ცხოველები, კრავები და ყველაფერი კარგი – მუხ. 7-9.

ბ. ის, რომ საულმა და ხალხმა დაინდეს საუკეთესო იქიდან, რაც მათ მთლიანად უნდა გაენადგურებინათ, არის იმ ფაქტის ილუსტრაცია, რომ განცდის დონეზე ჩვენ ვაფასებთ ჩვენი ხორცის, ჩვენი ბუნებრივი სიცოცხლის კარგ ასპექტებს, და არ გვინდა მათი განადგურება:
   1. ყველაფერს, რასაც ჩვენ ვაკეთებთ ღმერთის მადლისაგან გამოყოფილად, ღმერთისაგან დამოუკიდებლად და ისე, რომ არ ვართ მასზე დაიმედებული, გამოდის ხორციდან – ფილიპ. 3:3-4.
   2. ხორცის თითოეული ასპექტი, იქნება ეს კარგი თუ ცუდი, ეწინააღმდეგება მადლს და ღმერთის სამეფოს და ხელს გვიშლის ჩვენ, დავტკბეთ ქრისტეთი; ამიტომ ჩვენ უნდა გვძულდეს ხორცის თითოეული ასპექტი და ვიყოთ აბსოლუტური ხორცის განადგურებაში – რომ. 8:13; გალ. 3:3; 5:2-4.

ბ. ღმერთს არ უნდოდა, რომ საულს გამოეყენებინა საუკეთესო პირუტყვიდან როგორც მსხვერპლი მისთვის – 1 მეფ. 15:15:
   1. თუ ღმერთს ვაძლევთ და მივუტანთ მსხვერპლად რაღაცას, რისი სათავეც არის ხორცი, ეს არის ბოროტება მის თვალში – მუხ. 19.
   2. თვითნებურად რაღაცის მიტანა ღმერთისათვის არის ურცხვი და ცოდვიანი საქციელი – დაბ. 4:5; მათე 7:22-23.

V. კეთილი საქმეები, ჩადენილი ჩვენი ნების თანახმად, არის სინამდვილეში გამოვლინება ჯანყისა ღმერთის ტახტისა და მისი სახლმშენებლობის წინააღმდეგ – 1 მეფ. 15:22-23; გამ. 17:16:

ა. საულის დაუმორჩილებლობამ ამხილა ის როგორც მოჯანყე ღმერთის წინააღმდეგ და ღმერთის მტერი – 1 მეფ. 22:17.

ბ. საული მთლიანად აჯანყდა ღმერთის წინააღმდეგ; ის არ ემორჩილებოდა ღმერთს და არ ღებულობდა ღმერთს როგორც მეფესა და თავს.

გ. ის იყო შედგენილი ჯანყით, რომელიც არის ისეთივე ბოროტება, როგორც კერპების თაყვანისცემა – 15:23.

დ. ის, რაც საულმა გააკეთა, იყო ისეთივე ბოროტება, როგორც მიმართვა ბოროტი სულისადმი იმ მიზნით, რომ განეხორციელებინა ამ სულის განზრახვა ღმერთის განზრახვის ნაცვლად – მუხ. 23.

ე. ყველა ჯანყი დაკავშირებულია თავხედობასთან, იმასთან, რომ ადამიანი ბედავს გააკეთოს რაღაც ღმერთის გარეშე.

VI. საულმა დაკარგა თავისი მეფობა, რადგან მან არ გაანადგურა მთლიანად ამალეკი – მუხ. 26, 28:

ა. თუ ჩვენ არ ვიქნებით აბსოლუტური ჩვენს ხორცზე მუშაობაში, ჩვენ, მსგავსად საულისა, დავკარგავთ ჩვენი მეფობის უფლებას – 1 პეტ. 2:9; გამოცხ. 1:6; 5:10.

ბ. საულის დაუმორჩილებლობის აღწერა არის გაფრთხილება, რომელიც გვიჩვენებს, რომ ღმერთის სამეფოში ჩვენ არაფერი არ უნდა გავაკეთოთ ჩვენი ხორცის მეშვეობით; ჩვენ ყველაფერში უნდა ჯვარს ვაცვათ ჩვენი ხორცი და ერთგულად ვავარჯიშოთ ჩვენი სული, რათა გავყვეთ უფალს, რომელიც არის ჩვენს სულში მყოფი მაცოცხლებელი სული და რომელიც ერთია ჩვენთან – 1 კორ. 15:45; 6:17; 2 ტიმ. 4:22; გალ. 5:16, 25.

გ. როდესაც ამალეკს ეღება ბოლო, მაშინვე მოდის ღმერთის სამეფო – გამ. 18:1-26:

1. ღმერთის სამეფო აღნიშნავს ღმერთის ძალაუფლებას, რომლის წყალობითაც ყველაფერი ემორჩილება ღმერთს – მარკ. 1:15; იოანე 3:3, 5; გამოცხ. 11:15; 12:10; დან. 2:44.
2. ვინაიდან ხორცი ეწინააღმდეგება მეფობას, მას უნდა მთლიანად მოვუღოთ ბოლო, სანამ ღმერთის სამეფო შეძლებს მოსვლას – 1 კორ. 6:9-10; ეფეს. 5:5.

დ. თუ ჩვენ გავყვებით უფლის სიტყვას იმაში, რომ მთლიანად გავანადგუროთ ხორცი, ჩვენ ვიცხოვრებთ და ვივლით სულის თანახმად, ჩვენ მივიღებთ უფლებას, ვიმეფოთ და ვიქნებით ღმერთის სამეფოში – რომ. 8:4; 14:17; გალ. 5:19-21; 2 პეტ. 1:5-11.

© 2021 Living Stream Ministry